

როინ მეტრეველი

მეცნიერებათა აკადემიის პირველი ნაბიჯები

გასული საუკუნის შუახანებში საქართველოში კვლევა-ძიების სწრაფ-მა განვითარებამ და ეროვნული კადრების არსებობამ ყველა პირობა წარ-მოშვა მეცნიერების დამოუკიდებელი ორგანიზაციის შექმნისათვის. 1935 წელს აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალი დაიშალა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ფილიალებად. 1939 წელს საკავშირო მეც-ნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა საქართველოს ფილიალის პრეზიდიუ-მის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა: ნ. მუსხელიშვილი (თავჯდომარე), ს. ჯანაშია (მოადგილე), ი. ჯავახიშვილი, ვ. კუპრაძე, ფ. ზაიცევი, მ. ნოდია, ს. ქუთათელაძე (სწავლული მდივანი), გ. ჩივაძე, ვ. ჩაგუნავა, ა. ვაშავიძე.

ნიშანდობლივია, რომ ფილიალის სისტემაში, მირითადად, საბუნების-მეტყველო მეცნიერება იყო წარმოდგენილი. აქ საზოგადოებრივი მეცნიე-რების (ისტორია, ფილოლოგია, ეკონომიკა) არც ერთი მიმართულება არ იყო. საკითხის დაყენების შემდეგ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა კავკასიათმცოდნების ინსტიტუტი გარდაქმნა ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტად (ენიმკი). მუშაობა გაჩაღდა მეცნიერების ყველა დარგში და გარკვეული წარმატებებიც იქნა მიღწეული. ყველა პირობა შეიქმნა საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის დაარსებისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნებამ (1918 წ.) მასში მეცნიერებათა განვითარებამ, მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის შექმნამ, რეალურად განაპირობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსება.

საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი თა-რიღია 1941 წლის 10 თებერვალი. ამ დღეს განცხადდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება (№ 183) მეცნიერებათა აკადე-მიის დაფუძნების შესახებ. დადგენილებას ხელს აწერდა სახალხო კომისარ-თა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე და საქმეთა მმართველი ი. რუხაძე. ამ დადგენილებით მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში შემავალი ყველა დაწესებულება, სა-ქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, სტალინის სახელობის თბილისის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტს: გეოლოგიის ინსტიტუტი, ფიზიოლოგიის ინს-ტიტუტი, ფსიქოლოგიის ლაბორატორია, ყოფილი ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორია. დამტკიცებული იქნა აკადემიის წესდება და სტრუქტურა, რომელიც აკადემიის შემდგომი ორგანიზაციული საქმიანობის საფუძველი გახდა.

1941 წლის 22 თებერვალს სახომსაბჭომ დაამტკიცა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველი შემადგენლობა (16 პიროვნება). კანდიდატები, როგორც მეცნიერებათა აკადემიაში დაცული საარქივო მასალებიდან ჩანს,

წარდგენილი იყო „სამეცნიერო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა, ცალკეულ მეცნიერ-მუშაკთაგან და მათი ჯგუფებიდან.“ ამ დადგენილებით მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები გახდნენ: ნიკოლოზ მუსხელიშვილი, გიორგი ახვლედიანი, ივანე ბერიტაშვილი, კირიაკ ზავრიევი, ფილიპე ზაიცევი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, კარნელი კეკელიძე, ნიკოლოზ კეცხოველი, ტარასი კვარაცხელია, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი ხაჭაპურიძე, სიმონ ჯანაშია, ალექსანდრე ჯანელიძე.

1941 წლის 26 თებერვალს მიწვეული იქნა მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელსაც დაესწრო ზემოხსენებული ყველა წევრი. საარქივო მასალებში დასახელებული დამსწრეთა შორის გ.ტივაძე („ამხ. ტივაძე“), რომელიც, როგორც ჩანს, ორგანიზაციულ საკითხებს აწესრიგებდა, ითვლებოდა სწავლულ მდივნად. ნიშანდობლივია, რომ კრებას თავმჯდომარეობდა განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე, სხდომას დაესწრო პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში ი. თავაძე.

სწორედ ამ სხდომაზე აირჩიეს აკადემიის პრეზიდენტად ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ვიცე-პრეზიდენტად სიმონ ჯანაშია, პრეზიდიუმის წევრებად: ნ.მუსხელიშვილი, ს.ჯანაშია, ი.ბერიტაშვილი, გ.ახვლედიანი, ნ.კეცხოველი, კ.ზავრიევი, ა.ჯანელიძე

სახუმსაბჭომ დაამტკიცა მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურა:

1. ხელმძღვანელი ორგანოები

1. საქ.სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება
 2. პრეზიდიუმი
 3. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება
 4. მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილება.
- სტრუქტურის მიხედვით საქ.სსრ მეცნიერებათა აკადემიის საკვლევო-სამეცნიერო მირითად ორგანოებს შეადგენენ:

I. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების-სამეცნიერო დაწესებულებები:

1. ისტორიის ინსტიტუტი
2. ენის ინსტიტუტი
3. ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორი
4. ფიქტოლოგიის სექტორი.

II. მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო დაწესებულებები

- . მათემატიკის ინსტიტუტი
2. ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტი
3. გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტი
4. ქიმიის ინსტიტუტი
5. ბოტანიკის ინსტიტუტი

6. ბიოლოგიის ინტიტუტი
7. ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი
8. აბასთუმანის სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია
9. ენერგეტიკის სექტორი

III. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, უშუალოდ პრეზიდიუმთან მყოფი სამეცნიერო დაწესებულებები

1. საქართველოს მუზეუმი
2. აფხაზეთის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი
3. საქართველოს სამეცნიერო მაღალი უნივერსიტეტი
4. სამეცნიერო-საგეგმო კომისია
5. სამეცნიერო ცოდნის პროპაგანდისა და პოპულარიზაციის კომისია
6. სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო

IV. პრეზიდიუმის აპარატი

რომელიც შედგება: 4 პრეზიდიუმის სამდივნოსაგან

- ა. საოქმო ნაწილი
- ბ. კანცელარია
- გ. სპეცნაწილი
- დ. სტენოგრაფიისა და მანქანით წერის ბიურო
- ე. ბიბლიოთეკა
2. პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობისაგან
- ა. საფინანსო ნაწილი და ცენტრალური ბუჟპალტერია
- ბ. საქმეთა-მმართველობის ბუჟპალტერია
- გ. სამწეო ნაწილი
- დ. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ნაწილი
/ სამეურნეო ანგარიშზე / .
3. კადრების ნაწილისაგან

საქართველოს მეურნეობათა დამხმარე დაწესებულებებს ეკუთვნის:

1. გამომცემლობა
2. სტამბა

და 3. წიგნის მაღაზია “საქართველოს აკადემიური წიგნი”.

1941 წლის 1 აგვისტოს მეცნიერებათა აკადემიის შტატი შედგებოდა 790 სამეცნიერო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლებისგან. (34 პროფესორი, 75 დოცენტი, 36 დოქტორი, 109 მეცნიერების კანდიდატი, 127 უფროსი მეცნიერი მუშაკებისაგან კანდიდატის ხარისხით, 41 უფროსი მეცნიერი მუშაკი უხარისხო და სხვ.)

მეცნიერებათა აკადემიის პირველი სესიის მოწვევა შეეფარდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების და მეცნიერების მეოცე წლისთვის. სესია 27 თებერვალს გაიხსნა და გასტანა 2 მარტამდე. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული მეცნიერები, მწერლები. აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ო.ი. შმიდტის, აკადემიკოსის ო.ო მეჩნივოვის, ო.ა ორბელის, მ.ა ლავრენტიევის, ა.ვ კალანდინის, მწერალ პ. ტიჩინას

მონაწილეობა. სესია მოსმენილი იქნა ნ. მუსხელიშვილის მოხსენება „მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 20 წლის მანძილზე“ და ს. ჯანაშიას მოხსენება „საქართველოს უძველესი დედაქალაქი - მცხეთა“.

ხაზი უნდა გაესვას, რომ სესიის სხდომაზე მოსმენილი იქნა სამეცნიერო ხასიათის ცალკეული მოხსენებები. საზოგადოებრივ მეცნიერებათა, მათე-მატიკის, ბუნებისმეტყველების დუმის, ქიმიის, მეტროლოგიის და სხვა საკითხებზე. პირველი სესიის ფარგლებში მოწყობილი იქნა სამეცნიერო ხასიათის გამოფენები სათანადო დიაგრამებით, რუკებით, სქემებით და სხვადასხვა ექსპონატებით. სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო მცხეთა-მთიანეთისა და თრიალეთში გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის გამოფენა.

მეორე სესია საზოგადოებრივ მეცნიერებათა და მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების განყოფილებათა ხაზით ჩატარდა (1941 წლის 24 ივნისი). მოსმენილი იქნა ისტორიის (კ. კეკელიძე, ს. ყაუხებიშვილი, ი. აბულაძე), ფსიქოლოგიის (დ. უზნაძე, რ. ნათაძე, ბ. ხაჭაპურიძე), ენათ-მეცნიერების (ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, შ. ძიძიგური), ხელოვნების (გ. ჩუბი-ნაშვილი, შ. ამირანაშვილი, ნ. შმერლინგი, ვ. ბერიძე, ლ. რჩეულიშვილი) მიმოხილვების მოხსენებები.

ცალკე უნდა აღინიშნოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებათა აქტიური მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში. თანაც ომი სწორედ იმ წელს ზაფხულში დაიწყო, როცა აკადემია დაფუძნდა. გადაწყდა, რომ მეცნიერებათა აკადემიას ფართო მონაწილეობა მიეღო ფრონტისთვის სამეცნიერო-ტექნიკური დახმარების საქმეში. ქართველი მეცნიერები შრომობდნენ თავდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად, ნედლეულის რესურსების გამოყენებისა და დეფიციტური მასალის ადგილობრივი ნედლეულით შეცვლაზე. აკადემიამ საგანგებოდ შექმნა საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭო, რომლის ხელმძღვანელად დამტკიცდა აკადემიკოსი ა. თვალჭრელიძე, საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ: ნ. კეცხოველი, კ. ზავრიევი, ა. ჯანელიძე, ვ. ზაიცევი, ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი შიშნიაშვილი, პროფესორები: ფილატოვი, ი. ქუთათელაძე, ი. ზვიაგინცევი და როდონაია (საარქივო მასალებში მითითებულია „ამხ. როდონაია“). ამ საბჭოს რეალური ხელშეწყობით ექსპლუატაციაში შევიდა სასარგებლო წიაღისეულის 29 საბადო, რომელთა ბაზაზე (ვერცხლისწყალი, ვოლფრამი, მოლიბდენი, დარიმხანი) განვითარდა მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის დარგები.

უნდა აღინიშნოს, რომ ომის წლებში მეცნიერება და ტექნიკა საქართველოში მნიშვნელოვნად ვითარდებოდა. ამ პერიოდში შეიქმნა ნ. მუსხელიშვილის მონოგრაფია „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ამოცანა“ (1941 წ.); ივანე ბერიაშვილის მონოგრაფია „კუნთოვანი და ნერვული სისტემის ფიზიოლოგია“ (1941 წ) და სხვა.

საინტერესო ჩანს მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1941 წლის 28 აგვისტოს ჩატარებული სესია. მოსმენილი იქნა აკადემიკოს ა. ჯანელიძის მოხსენება მეცნიერების მდგრადი შესახებ მოხსენება, რომელიც ცხადია, გარკვეულ კონიუქტურულ შეფასებებსაც მოიცავდა (იმ პერიოდში სხვა-

გვარად არ შეიძლებოდა), მაგრამ იგი საკმაოდ ღრმა და შთამზეჭდავია. აյ იყო აკადემიის პირველი ნაბიჯების შეჯამება და აღნიშნული იყო ის წარმატებები, რაც იმ პერიოდისათვის ქართველ მეცნიერებს გააჩნდათ.

არსებითი იყოსა ერთოვრებაზეა ად. ნ. კეცხოველის გამოსვლა, რომელიც ვითარების ზოგადი შეფასების გარდა, მეტად საინტერესო წინადადებებს აყენებს აკადემიის/განყოფილებების გაყოფის შესახებ. კერძოდ: 1) ფიზიკა-მათემატიკური და 2) საბუნების მეტყველო განყოფილებებად. თანაც, ამ დებულებას იმდენად ნათლად ასაბუთებს, რომ კრების ერთსულოვან მხარდაჭერას იმსახურებს. მეცნიერი საყვედურს გამოთქვამს სასოფლო-სამეურნეო დარგის არ არსებობის გამო. ამასაც სამართლიანად ასაბუთებს. ნ. კეცხოველმა ხაზი გაუსვა მეცნიერების დაცვის აუცილებლობას.

საკმაოდ საინტერესოა აკადემიკოს გ. კვარაცხელიას გამოსვლაც (რუსულად). მან დიდი ადგილი დაუთმო მეცნიერების განვითარების პრობლემებს. აღნიშნა ხარვეზები ორგანიზაციულ საქმიანობაში. ნაკლოვანებები სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, ხაზი გაუსვა ერთიანი სისტემის შექმნის, თუ სისტემების დარგის რეგულირებისთვის. აკადემიკოსმა ა. ჯანელიძემ ილაპარაკა აკადემიის საქმიანობის რაციონალურად წარმართვის აუცილებლობაზე. აკად. ს. ჯანაშიას გამოსვლა ადასტურებს, რომ მიუხედავად იმისა, კრებაზე დასმული საკითხები მართებული იყო, მათი აღსრულება მოკლე ხანში ვერ მოხდება, საჭიროა შემდგომი მუშაობა და საკითხის რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებთან დამუშავებაა საჭირო.

კრებაზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ანგარიში წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა . პრფ. ვ ბერიძემ კატეგორიულად დასვა ლიტერატურის ინსტიტუტის შემოსავლის აუცილებლობა აკადემიის სისტემაში. აკად. ს. ჯანაშიამ რწმენა გამოთქვა რომ ეს ინსტიტუტი აკადემიურ სისტემაში გადმოვა. ამასთან აღინიშნა განმარტებითი ლექსიკონის გამოცემის აუცილებლობა.

შემდეგ საარქივო დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სიტყვა ეძლევა ამხ. ტივაძეს. გ. ტივაძე (აკადემიის სწავლული მდივანი) ორგანიზაციული საკითხებით იყო დაკავებული მეცნიერებათა აკადემიაში. იგი პროფესიით ისტორიკოსი გახლდათ და შემდეგში, როგორც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლექციებს კითხულობდა უნივერსიტეტში.

გ. თავაძის მოხსენება მნიშვნელოვანი იყო: „ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მუშაობა 1941 წლის პირველი ნახევრის პერიოდში“. მოხსენება მიღებული იქნა კრების მიერ.

საინტერესოა, რომ კრებაზე ხდება განყოფილებებში არსებული თანამდებობის პირების დამტკიცება. შესაბამისად, მათემატიკისა და საბუნების მეტყველო განყოფილების თავმჯდომარედ (იმხანად ასე ერქვა) დამტკიცდა აკადემიკოსი აღექსანდრე ჯანელიძე; საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარედ აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი. კრებამ დაამტკიცა აკადემიის დაწესებულებათა არჩეული ხელმძღვანელები: ქართული ხელოვნების ინსტიტუტის ხელმძღვანელად აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი; ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელად - აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე; აფხაზეთის სამეცნიერო-

კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელად - ამხ. ჭოჭუა (სტილი დაცულია); საქართველოს მუზეუმის დირექტორად პრფ. შ. ამირანაშვილი; მათემატიკური ინსტიტუტის დირექტორად პროფესორი ვიქტორ კუპრაძე. გეოლოგიის და მინერალოგიის ინსტიტუტის დირექტორად შიშნიაშვილი; ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორად მიხელ ნოდია; ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორად ამხ. თუმაჯანოვი (სტილი დაცულია); ბიოლოგიური ინსტიტუტის დირექტორად აკადემიკოსი ფილიპე ზაიცევი; ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად კირიაკ ზავრიევი; აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორად პრფ. ევგენი ხარაძე. კრებაზე აღინიშნა, რომ ისტორიისა და ენის ინსტიტუტები უნდა გაიყოს, თუმცა ეს მართვის საქმედ ჩაითვალა, ამიტომ დირექტორად ამ ერთიანი ინსტიტუტის დარჩა აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია.

არჩეული იქნა სარედაქციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ალექსანდრე ჯანელიძე, გიორგი ახვლედიანი, ივანე ბერიტაშვილი, კარიაკ ზავრიევი, ნიკოლოზ კეცხოველი, ფილიპე ზაიცევი, ვიქტორ კუპრაძე, პროფესორი ლევან გოკიელი, ამხ. გ. ტივაძე, ამხ. შ. აფხაძე. ამავე კრებაზე დამტკიცდა აკადემიის ჟურნალის სარედაქციო კოლეგია; ნ. მუსხელიშვილი (მთავარი რედაქტორი), ს. ჯანაშია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ლევან გოკიელი (პასუხისმგებელი მდივანი).

1941 წლის 31 აგვისტოს აკადემიის საერთო კრების მესამე სხდომა გაიმართა. ამ სხდომაზე აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ მეტად საინტერესო მოხსენება გააკეთა. „ქართველ ქალთა საგანმანათლებლო-კულტურული კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში“; აკადემიკოსმა ბერიტაშვილმა „ცენტრალური ნერვული სისტემის ავტომატური რიტმული მოქმედება“. აკადემიკოსმა გიორგი ახვლედიანმა: „ფაშიზმი - კულტურის მტერი“, კირიაკ ზავრიევმა „ანტისეისმური ბიუროს ახალი კონსტრუქციის სეისმოსკოპი“;

ჩვენ შევეცადეთ, რომ რამდენადმე დაწვრილებით, დეტალურად მოგვეტანა მეცნიერებათა საერთო კრების მასალები იმ თვალსაზრისით, რომ მკითხველმა ნათელი წარმოდგენა იქონიოს აკადემიის სისტემა სამეცნიერო დაწესებულებების მეტად არსებით, საფუძვლიან საქმიანობაზე. ყურადღება უნდა მივაჭიოთ, რომ აკადემიის პირველი ნაბიჯები დაკავშირებული იყო ერთის მხრივ ამ ახალი საორგანიზაციო სტრუქტურის შექმნასთან, მის დაკომპლექტებასთან. და მეორეს მხრივ, რაც ძირითადი იყო, მოდიოდა სისხლსავსე მეცნიერული ცხოვრება. მეცნიერების ყველა დარგში ამ პერიოდისთვის წინსვლა, პრობლემათა აქტიურობა და საფუძვლიანი კვლევა აღინიშნება. ამგვარად, დაფუძნებიდან (10 თებერვალი) ექვსი თვის ბოლოს (28 აგვისტო) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო მასტებით შეეძლო განეცხადებინა თავისი მიღწევების შესახებ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დაცული საარქივო მასალა საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ იმ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებზე, მათ საქმიანობაზე, რომლებიც აკადემიის სისტემაში შედიოდა. მათემატიკის ინსტიტუტი ერთ-ერთი ურთულესთაგანად

არის მიჩნეული. იმ დროისათვის ინსტიტუტს ჰყავდა 19 მეცნიერ-თანამშრომელი, (13 უფროსი, 6 უმცროსი, 1 აკადემიკოსი, 4 მეცნიერების დოქტორი, 8 კანდიდატი). ინსტიტუტის საქმიანობა ქვეყნის გარედანაც არის ცნობილი. ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტი (კერძო საქმეში ჩანს უკმაყოფილობა იმის გამო, რომ ინსტიტუტი ბინით ვერ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი) ორი სექტორისაგან შედებოდა. სეისმოლოგიის და მიწის ქანების ფიზიკის. ორივე სექტორი გარკვეულ სამუშაოს ატარებს. ამასთან საგანგებოდაა მითითებული, სამთო და ფიზიკის დაკავშირება ერთ ინსტიტუტში დროებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. გეოლოგიისა და მინერალოგიის ინტიტუტი საკმაოდ მნიშვნელოვან სამუშაოს ატარებს. ნიშანდობლივია, რომ გეოლოგიის სექტორი (26 თანამშრომელი, აქედან 1 აკადემიკოსი, 1 დოქტორი, 14 კანდიდატი) ბინით უზრუნველყოფილია. აქ შემოვიდა მინერალოგია-პეტროლოგიის სექტორი, რომელმაც შედარებით გვიან დაიწყო მუშაობა (მას ვალდებულება ჰქონდა წლის მეორე ნახევარში მოეშალა მუშაობა). ზოოლოგიის ინსტიტუტი ყოფილი ზოოლოგიური სექტორია (22 მეცნიერ-მუშავი, 1 აკადემიკოსი, 2 მეცნიერების დოქტორი, 4 კანდიდატი); ბოტანიკის ინსტიტუტს (მეცნიერ-თანამშრომელი 46, აქედან 25 უფროსი თანამშრომელი, 17 უმცროსი, 4 ლაბორანტი, 2 მეცნიერების დოქტორი, 4 კანდიდატი). ინსტიტუტში მრავალმხრივი მუშაობა მიმდინარეობდა. შეისწავლებოდა საქართველოს ფლორა, სათიბები, საძოვრები, მცენარეული კულტურების ქარისგან დაცვა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისთვის დაიბეჭდა „საქართველოს ფლორის“ I და II ტომი. საინტერესო საქმიანობას ეწეოდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი (მეცნ. თანამშრომელი - 14, აქედან 10 უფროსი, აკადემიკოსი 1, 5 დოქტორი, 4 კანდიდატი). აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია (7 თანამშრომელი, აქედან 1 დოქტორი, 3 კანდიდატი) აღჭურვილი იყო უახლესი აპარატურით და გამართული დაწესებულება იყო. აკადემიაში ფუნქციონირებდა ენერგეტიკის სექტორი, მიწისძვრის გამძლე მშენებლობის ბიურო.

აკადემიის საქმიანობის სისტემა იმგვარად იყო ორგანიზებული, რომ აუცილებლად ითვლებოდა ანგარიშის წარდგენა ექვს თვეში ერთხელ. აკადემიის „საარქივო მასალებში“ საგანგებოდაა აღნიშნული, რომ 1941 წლის პირველი ნახევრისთვის ანგარიშები სამეცნიერო დაწესებულებებს დროულად აქვთ წარმოდგენილი. აქვე მინიშნებულია, რომ ომმა ეს საქმიანობა შეაფერხა და აკადემიის წინაში ახალი ამოცანები დააყენა. მოიხსნა საექსპედიციო სამუშაოები. ამან თემატიკის შეცვალა გამოიწვია. თითქმის ყველა ინსტიტუტს მოაკლდა თანამშრომელთა ნაწილი. აკადემიამ ამ პერიოდში გააუქმა შვებულებები, რამაც განაპირობა დროის ბიუჯეტის გაზრდა. მითითება მიეცა ყველა სასწავლო უჯრედს გადაეხედათ თემატური გეგმებისთვის, რათა მაქსიმალურად გაეაქტიურებინათ ისინი. აკადემიამ მიმართა ზემდგომ ორგანოებს, რომ ინსტიტუტები და ლაბორატორიები, შესაბამისად კადრებიც გამოყენებული ყოფილიყვნენ თავდაცვითი დავალებების შესასრულებლად. ეს ინიციატივა უშედეგო არ ყოფილა. ქიმიის ინსტიტუტმა მიიღო სათანადო დავალებები და პრაქტიკულად მათ

შესრულებაზე გადავიდა. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი მთლიანად გადავიდა საავადმყოფოების მომსახურებაზე. ზუსტი აპარატურა და სპეციალისტთა სათანადო კადრები საშუალებას იძლეოდა ბიოდენების რეგისტრაციის მეთოდით დახმარება გასწორდა ექიმებს ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების დიაგნოსტიკის საქმეში. გეოფიზიკის ინსტიტუტმა გარკვეული სამუშაოები ჩაატარა აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად. გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტმა თანამშრომლები მიავლინა მნიშვნელოვან საძიებო ობიექტებში მუშაობის გასაძლიერებლად.

ნიშანდობლივია საანგარიშო მოხსენების შემართებული დამოკიდებულება არსებული ვითარებისადმი: „ოცი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა დაუზარავად და წარმატებით იბრძოდა მშვიდობიანობის დასაცავად. კიდევ მეტი ენერგიით ის გამარჯვებისათვის იბრძვის, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ფაშისტური არამზადები უნდა განადგურებული იქნან. ომი უნდა მოვიგოთ. ეს აუცილებელი არის არა მარტო საბჭოთა ხალხების, არამედ მთელი კაცობრიობის მომავლისათვის.“

მაგრამ სწორედ ამიტომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ გამარჯვებისათვის. შეუწყნარებელი იქნებოდა ჩვენი ქვეყანა მდგარიყო ისეთი საფრთხის წინაშე, რომ მოგებული ომი წაგვეგო. მშვიდობიანობა. ამის გამო ჩვენი მოვალეობაა დაუზიანებლად შევინარჩუნეთ მეცნიერული მუშაობის ის რთული აპარატი, რომელიც ხანგრძლივი მუშაობისა და დიდი მსხვერპლის ნაყოფი არის, რომელიც დღეს ჩვენ გვაბარია“. ეს ციტირება რაც ჩვენ მეცნიერებათა აკადემიის საარქივო მასალებიდან ამოვიღეთ ნათლად გვიჩვენებს სულ რაღაც ხუთიოდე თვის წინ დაარსებული მეცნიერებათა აკადემიის მესვეურთა, ქართველ მეცნიერთა შემართებას, მათ ქვეყნისათვის სამსახურის მზადყოფნას, მიგვანიშნებს, რომ ის პირველი ნაბიჯები, რაც ახლადშექმნილმა მეცნიერებათა აკადემიამ გადადგა ქვეყნის ერთგულ, რეალურ სამსახურს წარმოადგენდა.

ნიშანდობლივია, რომ 1941 წლის პირველ ნახევარზე უფრო დაძაბული მუშაობა გაიმართა წლის მეორე ნახევრიდან. ამის მიზეზები ქვეყანაზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმა იყო. ქვეყანასთან ერთად საფრთხის წინაშე დადგა აკადემიაც. ქართველმა ხალხმა შრომის გაძლიერებით უპასუხა მტრის შემოსევას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და მისმა გადაწყვეტილებებმა ახალი მნიშვნელოვანი ამოცნები დაისახეს მიზნად. ნიშანდობლივია, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში შემავალმა დაწესებულებებმა თავიანთი სპეციალობებისა და შესაძლებლობების შესაბამისად იკისრეს:

1/ გააგრძელონ და გააძლიერონ ფაშიზმის „თეორიისა და „პრაქტიკის“ მეცნიერულად მხილება. მისი სიყალბის და საზიზღრობების გამოაშვარავება /ისტორიკოსებმა, ეთნოგრაფებმა. ლინგვისტებმა /2 ჩვენს ხალხში გმირული სულისკვეთების გამოვლინება - საგმირო საქმეთა ნიმუშების ჩვენების გამო /ისტორიკოსებმა. ლიტერატორებმა. ეთნოგრაფებმა/. 3/ მიმდინარე სათავდაცვო საზოგადოებრივ - კულტურული მუშაობაში დახმარება/ ენათმეცნიერ-ლექსიკოლოგებმა /: 4/ მეომრისათვის თავის ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენების ჩვევათა - ჩანერ-

გვა /ფსიქოლოგებმა/. 5/ისტორიული ძეგლების შესწავლა-დაცვის უზრუნველყოფა / ხელოვნების ისტორიისა და არქეოლოგიის მუშაკებმა და სხვა.

ცალკეულ მეცნიერთა შემოქმედებაში გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი თემები: „რსიზმი ფაშისტურ მეცნიერებაში, „ეთნოლოგია და ფაშისტური მეცნიერება;“

„სახალხო გმირები ჩვენს ხალხურ შემოქმედებაში“. „ქართველი ხალხის ბრძოლა მონღოლ-დამპყრობელთა წინააღმდეგ“. „გიორგი სააკაძე“. „ერევლე მეორე“. „ნებისყოფის ფაქტორი ბრძოლის სიტუაციაში“, „მებრძოლის დაწმუნებულობა, როგორც ბრძოლაში გამარჯვების ფაქტორი“. „ფერების აღქმა და შენიდბვა“, „ფაშიზმი - კულტურის მტერი“ და სხვ.

ამ მუშაობაში ჩაბმული იყო განყოფილებაში შემავალ დარუსებულების მუშაკთა გარდა, აგრეთვე, აკადემიის ის წევრები, რომლებიც ჯერჯერობით ამ დაწესებულებებში არ შემოდიან - აკად. კ. კეკელიძე და აკად. გ. ხაჭაპურიძე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ენისა და ისტორიის ინსტ-ის თანამშრომელთა მოხსენებების წაკითხვა მნიშვნელოვან საკითხებზე საკავშირო აკადემიის სესიაზე / ლენინგრადში/ ფსიქოლოგიის სექტორის ხელმძღვანელის მნიშვნელოვანი გამოსვლა საკავშირო კონფერენციაზე მოსკოვში. განყოფილებაში შემავალი ყველა სამეცნ. დაწესებულებების მონაწილეობით გაიმართა საჯარო სამეცნიერო სესია, სადაც წაკითხულ იქნა 16 მოხსენება მნიშვნელოვან საკითხებზე ხელოვნების, ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების და ისტორიის დარგებიდან.

მნიშვნელოვანია ის, რომ აკადემიის წევრები არ ერიდებიან გარკვეულ საკითხებზე კრიტიკულ შენიშვნებს. მოთხოვნილების ხარისხი მაღალია. საერთო კრებაზე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ დიდ ქართულ ლექსიკონებზე მუშაობა შეჩერდა; არ იყო გამიჯნული თემატიკურად ისტორიის ინსტიტუტში ფილოლოგიური განყოფილება სხვა განყოფილებისაგან (სახელდობრ, ისტორიის, ქართველურ ენათა და აღმოსავლეთის განყოფილებებათაგან); არასწორად იყო მიჩნეული ისტორიული არქეოლოგიის მიერთება ხელოვნების სექტორთან; მსჯელობის საგანი იყო ის ფაქტი, რომ არქეოლოგიის განყოფილების შტატი მცირე იყო; საჭიროდ იქნა მიჩნეული ასპირანტთა რაოდენობის გაზრდა. აუცილებლად იქნა მიჩნეული ბიბლიოთეკების დაარსება ცალკეულ განყოფილებებში.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებამ მეცნიერებათა აკადემიის სათანადო ბინა გამოუყო, რაც საარქივო მასალებში მადლიერებითაა აღნიშნული.

მეტად მნიშვნელოვანი მუშაობა გაწეული 1941 წლის პირველ ნახევარში მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ. ამ პერიოდში პრეზიდიუმის სხდომა 21-ჯერ ჩატარებულა. პრაქტიკულად მოგვარდა მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებათა სტრუქტურის საკითხი, დაინიშნენ ხელმძღვანელები, შტატი დაკომპლექტდა. დამტკიცდა აკადემიის სამეცნიერო ორგანოს „მოამბის“ სარედაქციო კოლეგია. პრეზიდიუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გამომცემლობას - შესაძლო გახდა მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებათა მეცნიერ-თანამშრომლების შრომების გამოქვეყნება. პრეზიდიუმმა განიხილა და დაამტკიცა სამეცნიერო დაწესებულებათა სამეცნიერო საბჭოების შემადგენლობა; განიხილა და დაამტკიცა

აკადემიის დამხმარე დაწესებულებათა დებულებები. შემუშავებული იქნა სამეცნიერო წოდებების მინიჭების წესები. ცალკე უნდა აღინიშნოს აკადემიის პრეზიდიუმის მიერ ქართული შრიფტის რესპუბლიკური კომიტეტის დაარსება. მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ივლისის თვიდან მოყოლებული - საქმიანობის გარდაქმნა ომის მოთხოვნებიდან გამომდინარე. დამტკიცდა კომისია, რომელსაც მიენდო არსებული გეზმების რეალური გადასინჯვა. მოთხოვნა არსებითი იყო - ეს გეგმები უნდა შეფარდებულიყო ომის საჭიროებებთან. ახლადშედგენილი გეგმები პრეზიდიუმმა სპეციალურ სხდომაზე განიხილა, დაამტკიცა და წარადგინა სათანადო ორგანოებში დასამტკიცებლად. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ სხდომას მეცნიერებათა აკადემია დაარსების პირველი დღეებიდანვე უდიდეს ყურადღებას უთმობდა აფხაზეთის პრობლემებს, შეისწავლებოდა აფხაზური ენის პრობლემები. მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობით არაერთ სამუშაოს ასრულებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. ყველა გეგმა თანხმდებოდა აკადემიასთან. პრეზიდიუმმა გადაწყვიტა მუზეუმის სტრუქტურაში ზოგიერთი ცვლილების შეტანა. სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით მუზეუმი მუშაობდა ორი განხრით - საზოგადოებრივი მეცნიერებები (ისტორიული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ხელნაწერთა და ახლად ორგანიზებული სოცმენებლობების განყოფილებები) და საბუნებისმეტყველო დარგი (ბოტანიკისა და ბიოლოგიის განყოფილებები). უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 20 წლისთავთან დაკავშირებით საგანგებო გამოფენა მოაწყო, გადაახალისა მთელი რიგი საგამოფენო პავილიონები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია თავისი მოწოდებით, რეალური საქმიანობით ქართველი ხალხის მტკიცე სამსახურში იყო.

თუ გადავხედავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნახევარი წლის ნაღვაწს, ანუ ექვსი თვის საქმიანობის შედეგებს, აშკარად ვნახავთ, რომ მის პირველ შემოქმედებით ნაბიჯებს - დაფუძნებიდან ბევრია გაკეთებული. ეს მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის და მათში შემავალი სამეცნიერო დაწესებულებების დაუღალავი შრომის შედეგია. საფუძველშივე ჩადგმულმა მტკიცე ფუნდამენტმა თვალსაჩინო შედეგები მოგვცა. ასე გაგრძელდა ამ ღირსეული დაწესებულების არსებობის მთელ სიგრძეზე. ქართველი მეცნიერები, მეცნიერებათა აკადემია დროის მოთხოვნების შესაბამის ადექვატურ საქმიანობას აწარმოებდნენ.

საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებისა და ამ საუკუნის დასაწყისში სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში გავრცელებულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა განაპირობა სამეცნიერო ინფრასტრუქტურაში ადეკვატური ცვლილებების აუცილებლობა. მიღებული იქნა „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების“ კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“. ხაზი გაესვა, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არის საქართველოს სამართლის იურიდიული პირი სრული ავტონომიური უფლებებით (2005 წ.23.XII.).

2007 წლის 14 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა „საქართველოს კანონი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული

აკადემიის „შესახებ“, სადაც დაფიქსირებულია დებულება: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არის უძველესი ქართული აკადემიის - გელათისა და იყალთოს აკადემიების მემკვიდრე სახელმწიფოს მაღალი დონის ინტელექტუალური განვითარების ატრიბუტი, საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო მიღწევებისა და მაღალი სამეცნიერო და სამოქალაქო ავტორიტეტის მქონე პირთა გაერთიანება“. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიას კანონით აქვთ მინიჭებული საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩევლის სტატუსი.

დღესდღეობით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მოქმედებს ზემოთ ხსენებული სახელმწიფო კანონის შესაბამისად. მისი ძირითადი მიზანია მსოფლიო მეცნიერული მიღწევების შესაბამისად ქვეყანაში მეცნიერების განვითარებისათვის ხელშეწყობა, მოპოვებული წარმატების წარმოჩენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საერთაშორისო ასპარეზზე.

არსებული ამოცანების გადასაწყვეტად მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დარგობრივ განყოფილებებთან (9 განყოფილება) შექმნილია საგანგებო კომისიები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სხვადასხვა დარგში, რომლებშიც აკადემიის წევრებთან ერთად ქვეყნის სხვა წამყვანი მეცნიერებიც შედიან. კომისიები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა მეცნიერული საკითხის შესწავლაში, ხელს უწყობენ ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების წარმოებას. განიხილავენ და შეაფასებენ დასრულებულ კვლევით სამუშაოებს. კომისიათა სხდომაზე განიხილება ქვეყნის საჭიროობრივ საკითხები (ცხადია, მეცნიერული) და საჭირო შემთხვევაში შედეგები ხელისუფლებაშიც იგზავნება რეაგირებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გამოიცემა აკადემიის წევრთა წლიური ანგარიშები, სადაც ასახულია მათი სამეცნიერო, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობა - გამოყენებული მონოგრაფიები, ცალკეული სტატიები, მოპოვებული გრანტები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო მივლინებები და სხვ. ეს ანგარიშები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს აკადემიის წევრთა რეალური საქმიანობის შედეგებზე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანების წევრია („აზისა და აფრიკის აკადემიათა ასოციაცია“, „სრულიად ევროპის აკადემიათა ასოციაცია“, „ევრაზიის აკადემიათა ასოციაცია“ და სხვ.) აკადემიის წევრთა და წევრკორესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მსოფლიოს სხვადასხვა აკადემიისა და უნივერსიტეტების საპატიო უცხოელი წევრი ან საპატიო დოქტორია. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში აკადემიის უცხოელი ან საპატიო წევრის სტატუსით არიან გამოჩენილი უცხოელი მეცნიერები.

უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრებს მაღალი მეცნიერული მიღწევები აქვთ: გამოდის მნიშვნელოვანი მონოგრაფიები, მსოფლიოს მაღალპრესტიულ ჟურნალებში იბეჭდება სტატიები, სახეზეა მეტად სერიოზული გამოგონებები.

ქვეყნის პოლიტიკას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგში განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, ცალკეული კანონები, რომ-ლებიც მიღებულია ზოგადად მეცნიერების განვითარებისა და კერძოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ.

დღესდღეობით, როცა საქართველოს სერიოზული განაცხადი აქვს გაკეთებული საერთაშორისო ორგანიზაციებში (ევროკავშირი, ნატო) შესვლის მიზნით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში მაღალგანვითარებული მეცნიერების არსებობას, ფუნდამენტური მეცნიერების პრიორიტეტულ განვითარებას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება ახალ გამოწვევებს და აცნობიერებს მას. ქართული მეცნიერება ფუნდამენტური თუ გამოყენებითი, ყოველთვის მაღალ დონეზე იყო და, ასე ამჯერადაც - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოთხმოცდამეტე წლისთავზეც, მას ხელეწიფება, რომ ახალი დროის მიერ დასმული ამოცანა წარმატებით შეასრულოს - მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქართული მეცნიერების მაღალ დონეზე წინსვლა - განვითარებაში.

Roin Metreveli

THE INITIAL STEPS OF THE ACADEMY OF SCIENCES

February 10, 1941 is a particularly important date in the history of modern Georgia. On this day, the Resolution of the Council of People's Commissars of the Georgian SSR (№ 183) on the establishment of the Academy of Sciences was announced. By this resolution, all institutions included in the Georgian branch of the USSR Academy of Sciences, the Georgian State Museum, and the Stalin Tbilisi State University were transferred to the Academy of Sciences: the Institute of Geology, the Institute of Physiology, the Laboratory of Psychology, and the Laboratory of the former Institute of Physics. The statute and structure of the Academy were approved, which became the basis for the further organizational activities of the Academy. On February 22, 1941, the Council of People's Commissars approved the initial constitution of full members of the Academy (16 people). The candidates, as can be seen from the archival materials preserved at the Academy of Sciences, were proposed "from scientific and public institutions, individual scientists and their groups." By this resolution, the following became full members of the Academy of Sciences: Nikoloz Muskhelishvili, Giorgi Akhvlediani, Ivane Beritashvili, Kiriak Zavriev, Filipe Zaitsev, Aleksandre Tvalchrelidze, Karneli Kekelidze, Nikoloz Ketskhoveli, Taras Kvaratskhelia, Dimitri Uznadze, Akaki Shanidze, Arnold Chikobava, Giorgi Chubinashvili, Giorgi Khachapuridze, Simon Janashia, Aleksandre Janelidze.

On February 26, 1941, a general meeting of the Academy of Sciences was convened, which was attended by all members. At the meeting, Nikoloz Muskhelishvili was elected President of the Academy, Simon Janashia was elected Vice-Presi-

dent, and the following members of the Presidium were elected: N. Muskhelishvili, S. Janashia, I. Beritashvili, G. Akhvlediani, N. Ketskhoveli, K. Zavriev, A. Janelidze.

Moreover, it's worth mentioning the active participation of the scientists in World War II. The war broke out in the summer of the same year when the Academy was founded. Georgian scientists were supposed to take a huge part in providing scientific and technical assistance to the front; they worked hard to solve defense problems, use raw material resources and replace deficient materials with local feedstock.

Overlooking at the results of the six-month activity of the Georgian Academy of Sciences, one would clearly see that much has been done since its foundation which displays a tireless work of the first members of the Academy of Sciences and the scientific institutions included in them. The visible outcome continued throughout the entire existence of this institution. The Academy of Sciences carried out adequate activities in accordance with the requirements of the time.